4624/3-79/22 2 25052022

4624/3-79/22
25-05-2022

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის სამინისტროს

პარლამენტის წევრის შეკითხვა

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილის საფუძველზე, მოგმართავთ საქართველოს პარლამენტის წევრის შეკითხვით:

პირველ რიგში, პოზიტიურად ვაფასებ მესტიაში დიალეზის პროგრამის ამოქმედებას.

პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს - ზურაბ აზარაშვილს მივმართე შეკითხვით, მოხდება თუ არა მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) მოსახლეობის დიალეზის პროგრამის სერვისით უზრუნველყოფა. გთხოვთ, მომაწოდოთ წერილობითი პასუხი, თუ აქამდე რა გაკეთდა ამ მიმართულებით? დაიწყო თუ არა ამ მიმართულებით რაიმე პროგრამის განხორციელება? თუ არ დაწყებულა, როდისთვის დაიწყება და რა ღონისძიების განხორციელებას გეგმავს სამინისტრო?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ტარიელ ნაკაიძე